



UNIVERSITY
OF WARSAW

აუტისტური სპექტრის მქონე სტუდენტების გაგება

მონიკა სკურა

რა არის აუტიზმი?

აუტიზმი არის განვითარების აშლილობა, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის აღქმასა და კომუნიკაციაზე, და ხშირად, იწვევს გამოწვევებს სოციალურ ინტერაქციასა და ინფორმაციის დამუშავებაში. მიუხედავად იმისა რომ არსებობს რამდენიმე საერთო მახასიათებელი, აუტისტური სპექტის მქონე არც ერთი ადამიანი არ არის იდენტური.

მნიშვნელოვანია გავიაროთ რა გავლენას ახდენს აუტისტური სპექტრის მახასიათებლები თითოეულ სტუდენტზე.



რა არის აუტიზმი?

- აუტიზმი არის ნეიროგანვითარების აშლილობა, რომელიც დაკავშირებულია ადრეულ ბავშვობაში ტვინის არანორმალურ განვითარებასთან და ფუნქციონირებასთან.
- განვითარების დარღვევების სიმპტომები ვლინდება 36-ე თვემდე, ანუ 3 წლამდე.
- აუტიზმის არ არის ფსიქიკური დაავადება; ეს არის ნეიროფიზიოლოგიის სრულიად სხვანაირი განვითარება.




შეზღუდული შესაძლებლობის გამომწვევი მიზეზები (Causes of Disability)

- გენეტიკური მგრძობელობა და გარემო ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობს;
- ინფექციები, მეტაბოლიზმის დარღვევები, გართულებული ორსულობა, მშობიარობა...



აუტიზმის მქონე ადამიანები

- აქვთ სოციალური ურთიერთობის პრობლემები;
- აქვთ კომუნიკაციის პრობლემები;
- მიდრეკილი არიან განმეორებად, ხისტი ქცევის პატერნებისკენ;
- ახასიათებთ მთლიანი სხეულის განმეორებადი მოძრაობა (მანერიზმი)




აუტისტური სპექტრის აშლილობა

ღრმა აუტიზმი

ძალიან მძიმე სიმპტომები

მსუბუქი აუტიზმი, ასპერგერის სინდრომი

მსუბუქი სიმპტომები



↓ თვალებით და ფიზიკური კონტაქტის არიდება,

↓ მეტყველების განვითარების შეფერხება,

↓ სერიოზული სწავლის სირთულეები,

↑ სოციალური სიტუაციების გაგებისა და რეაგირების სირთულეები,

↑ სხვა ადამიანების ემოციებისა და ქცევის გაგება,

↑ სიტყვის პირდაპირი გაგება, ე.ი. ხუმრობები, მეტაფორები და ა.შ.

მსუბუქი აუტიზმის მაგალითი

ადამიანებს:

- არ აქვთ დაქვეითებული სწავლის უნარი, მათი ინტელექტი ნორმალურის (ან ნორმალურს აღემატება) ფარგლებშია;
- არ აქვთ პრობლემები მეტყველების განვითარებაში;
- შეიძლება ჰქონდეთ ძალიან კარგად განვითარებული ენობრივი უნარები;
- თუმცა შეიძლება ჰქონდეთ პრობლემები სოციალურ სიტუაციებთან ადაპტაციისა და არავერბალური მესიჯების გაგებაში, როგორცაა, მაგალითად, სახის გამომეტყველება;
- შეიძლება ძალიან მკაცრად 'ჩაიციკლონ' კონკრეტულ, არჩეულ საკითხს;
- შეიძლება, ასევე ჰქონდეთ პრობლემები მეგობრებსა და სხვა ადამიანებთან უერთიერთობების შენარჩუნებაში



აუტიზმის მქონე პირების სპეციფიკური მახასიათებლები

სოციალური ურთიერთობები

- შეიძლება ერიდებოდნენ სხვებთან თვალის კონტაქტს, მათ შორის მშობლებთან/მეურვეებთან;
- არ უყვართ როდესაც ეხუტებიან, ეხებიან (თუმცა ბევრ ბავშვს სიამოვნებს ჩახუტება და 'შეკუმშვა')
- შეუძლიათ ზედმეტად ფოკუსირდნენ რაღაც ობიექტებზე სხვა ადამიანების ყურადღების მიქცევის გარეშე
- სურს სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, მაგრამ სოციალური ნორმების გაგების პრობლემების გამო, ხშირად აღიქმებიან უცნაურად



<https://www.youtube.com/watch?v= WSQLXVtTQg>

კომუნიკაცია

- მეტყველების განვითარება ზოგადად დაგვიანებულია; ბავშვების დიდ ჯგუფს საერთოდ არ უვითარდება მეტყველების უნარი;
- ზოგიერთი ადამიანი საუბრობს, მაგრამ ბოლომდე არ ესმით საკუთარი ნათქვამის მნიშვნელობა და უჭირთ საუბრის გაგრძელება;
- შეიძლება გაიმეორონ ცალკეული სიტყვები ან წინადადებები, რომლებიც მოისმინეს, მაგალითად, ტელევიზიით;
- უჭირთ სხვა ადამიანების ხმაზე, ემოციებზე, ღიმილზე რეაგირება; ასევე უჭირთ სხვა ადამიანების მიერ ნათქვამის გაგება



<https://www.youtube.com/watch?v=ZsRdpPMAvfs>

სენსორული მგრძობელობა

- სხვადასხვანაირად აღიქვამენ ხმებს, სინათლეს, სურათებს, შეხებას, სუნს, გემოსა და ტკივილს.
- შეიძლება გაღიზიანდნენ, შეშფოთდნენ ან, პირიქით, მოიხიბლონ გარკვეული სტიმულით, სინათლის ციმციმებით ან სკოლის ზარის ხმით
- სენსორული დამუშავების პრობლემები იწვევს აუტისტი ადამიანების სპეციფიკურ ინტერესებს გარკვეული ობიექტების ან ობიექტების ნაწილების მიმართ
- სენსორულმა პრობლემებმა ასევე შეიძლება უბიძგონ აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანებს თავი აარიდონ ადამიანთა ჯგუფებში ყოფნას, აიფარონ ყურებზე ხელი, უარი თქვან გარკვეული ტანსაცმლის ტარებაზე გარკვეული საკვების მიღებაზე და ა.შ.
- მათ მიერ სამყარო შეიძლება აღიქმებოდეს ქაოტურად, 'ჩანლართულად'.



https://www.youtube.com/watch?v=hs97c_HOah0

ინტერესები

- აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვები თამაშობენ სპეციფიკური, განმეორებადი, სქემატური გზებით.
- იმეორებენ ერთი და იგივე ინტერესთან დაკავშირებულ ქცევას ზოგჯერ სხვებისთვის შემაწუნებელი, აბეზარი ფორმით.
- შეიძლება აინტერესებდეთ სპეციფიკური თემა, რომელსაც ხშირად უბრუნდებიან, მიუხედავად იმისა, აინტერესებთ თუ არა ის სხვებსაც.
- შეიძლება საათობით ილაპარაკონ მატარებლებზე, დინოზავრებზე, ისტორიულ მოვლენებზე, ავტობუსის გზებზე.



<https://www.youtube.com/watch?v=GTUUfjLdp0>

სასარგებლო რჩევები აუტიზმის მქონე ადამიანებთან ურთიერთობისთვის

- დაიმასსოვრეთ და პატივი ეცით სხვადასხვა აღქმას. მოერიდეთ ზედმეტ სტიმულს.
- აუტიზმის მქონე ადამიანისთვის ყოველი ახალი მოვლენა, ახალი ადამიანის ნახვა შეიძლება დიდი მოვლენა იყოს. მიეცით დრო რომ შეეჩვიონ ახალ სიტუაციას. ნათლად გამოხატეთ თქვენი მიმიკები და ემოციები, გააჟღერეთ რას გრძნობთ მოცემულ სიტუაციაში.
- ისაუბრეთ მარტივ, გასაგებ ენაზე; ერიდეთ მეტაფორებს, სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებსაც შეიძლება რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. თუ კონტაქტობთ ადამიანთან, რომელსაც არ შეუძლია ან უჭირს საუბარი, არ შეუშინდეთ კომუნიკაციის ალტერნატიული გზების გამოყენებას- გამოიყენეთ სურათები, ფიქტოგრამები...
- აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანს, რომელსაც უჭირს ან არ შეუძლია ლაპარაკი, ასწავლეთ სურათებისა და სხვა საშუალებებით კომუნიკაცია.
- აუტიზმის მქონე ადამიანებს უჭირთ მათ გარშემო არსებული რეალობის აღქმა. ეცადეთ, გააჟღეროთ რა ხდება, გამოიყენეთ გეგმები, დაწერეთ დონისძების თანმიმდევრობები.



აუტიზმის მახასიათებლები

- **დარღვეული კომუნიკაცია და სოციალური ურთიერთქმედება**

შეიძლება ჰქონდეთ სირთულეები ადქმისას, კომუნიკაციის დროს, საუბრის კონტექსტის გაგებისას (მაგ. ხუმრობა, სარკაზმი, იდომები, კლიშეები...);

- **განმეორებადი ქცევა**

შეიძლება ჰქონდეთ განმეორებადი ქცევა, მოძრაობები, როგორცაა წინ და უკან ქანაობა, ხელების ტრიალი. ზოგიერთი განმეორებადი ქცევა შეიძლება ნაკლებად გამორჩეული იყოს (მაგ., მუხლების ტკაცუნი, ფანქრების ან კალმების ღეჭვა, აზრის აკვიატება).

- **შეზღუდული ინტერესები და სირთულეები ცვლილებებთან მიმართებაში**

ზოგიერთ სტუდენტს აქვს ძალიან სპეციფიკური ინტერესი (მაგ. სამოქალაქო ომის ბრძოლის სტრატეგია, ხორცისმჭამელი სახლის მცენარეები) და ხშირად ამჟღავნებს შფოთვის, როდესაც რუტინა დარღვეულია.

- **სენსორული სენსიტიურობები**

შეიძლება არაბუნებრივად მგრძობიარე იყვნენ საკლასო გარემოს კონკრეტული ასპექტების მიმართ. ეს შეიძლება მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლება), კომპიუტერის გუგუნს, განათების სიკაშკაშეს, მარკერის სუნს, ფურცლის გადაშლის ხმას...

სწავლის სტილები

აუტიზმის მქონე მოსწავლეებს აქვთ სწავლის უნიკალური სტილი. ლექტორებს შეუძლიათ მხარი დაუჭიროონ ამ სტუდენტებს სწავლების დაგეგმვისას მათი ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ეს გააზრებული მომზადება დაეხმარება აუტიზმის მქონე სტუდენტებს მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი პოტენციალი და შეიტანონ ღირებული წვლილი საკლასო დისკუსიებსა და აქტივობებში.

- **აუტიზმის მქონე სტუდენტები ვიზუალური მოსწავლეები არიან**

მათ სჭირდებათ ინფორმაციის ვიზუალურად დანახვა, მისი მნიშვნელობის ინტერპრეტაციისთვის.

- **აუტიზმის მქონე სტუდენტები სწორხაზოვნად სწავლობენ**

მათ სჭირდებათ რომ ზუსტად გააგებინონ ინსტრუქციები, უკუკავშირი.

- **აუტიზმის მქონე მოსწავლეებს სჭირდებათ თანმიმდევრულობა და პროგნოზირებადობა**

მათ სჭირდებათ კარგად სტრუქტურირებული, პროგნოზირებადი საკლასო ოთახები და განრიგი

რა შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ დავეხმაროთ აუტისტ მოსწავლეებს საკლასო ოთახში?

1. მოსწავლესთან ურთიერთობისას გაითვალისწინეთ კონფლიქტების შესაძლებლობა, რომელიც წარმოიქმნება მოსწავლის მიერ არავერბალური შეტყობინებების წაკითხვის, აღქმის სირთულის გამო, როგორცაა ხმის ტონი ან სხეულის ენა, და ამგვარად, სხვისი განზრახვების, განწყობის წაკითხვის შეუძლებლობა.
2. აუტიზმის მქონე მოსწავლემ შეიძლება სიტყვასიტყვით გაიგოს ჩვენი სიტყვები, ამიტომ საუბრისას უნდა ვეცადოთ ვიყოთ ზუსტი და მოვერიდოთ non-literal განცხადებებს..
3. სწავლის პროცესის გასაადვილებლად, საუბრისას უნდა გამოვკეთოთ ჩვენს მეტყველებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია/ სიტყვები და საუბრისას გავაკეთოთ მცირე შესვენებები.
4. მოსწავლეების მიერ მიცემული დავალების წარმატებით შესრულების შანსის გასაზრდელად, გულმოდგინედ უნდა შევამწოთ რომ ჯგუფისთვის მიცემული ინსტრუქციები ასევე გასაგები იყო აუტისტური სპექტრის მქონე სტუდენტისთვისაც. დამატებით, შეგვიძლია დავალების მცირე ნაბიჯებად დაყოფა და ისე ახსნა.



(5) შეიძლება ასევე სასარგებლო იყოს მასალის სხვადასხვანაირად მიწოდება: პრეზენტაციის სახით, დიაგრებით, სქემებით, დამატებითი ლაკონური აღწერილობებით.

(6) აუტიზმის მქონე ბავშვისთვის შეიძლება განსაკუთრებით რთული იყოს, თუ დაირღვა წესრიგი, რომელსაც მიეჩვია. ასეთ სიტუაციაში, მოსწავლე შეიძლება უფრო გაღიზიანებული იყოს, ამიტომ მიეცით საშუალება გამოხატოს თავისი ემოციები და ამავდროულად, შეეცადეთ, შეანარჩუნებინოთ სიმშვიდე. შეინარჩუნოს სიმშვიდე ამ დროს.

(7) როდესაც სტუდენტს სურს კითხვის დასმა ან გრძელი აზრის გადმოცემა (რაც შეიძლება სხვა სტუდენტებისთვის შემაწუხებელი იყოს), მიეცით ამის შესაძლებლობა, თუმცა, ამავდროულად, დაუწესეთ 'ჩარჩო', მაგალითად- შეგიძლია ამის შესახებ 3 წინადადებით მოგვიყვე? შენს სხვა კითხვებს კონსულტაციის დროს ვუპასუხებ.

(8) აუტისტური სპექტრის მქონე სტუდენტებს შეიძლება ჰქონდეთ უჩვეულო ინტერსები, რომლების შესახებაც ბევრი რამ იციან, ექსპერტები არიან. ამიტომ, თუ შესაძლებელია, შექმენით სიტუაცია, სადაც ისინი შეძლებენ თავისი ცოდნის გაზიარებასა და ამით თანატოლთა ჯგუფში დადებითი იმიჯის ჩამოყალიბება.

(9) აუტიზმის მქონე სტუდენტის ნებისმიერი მხარდაჭერა უნდა იყოს მორგებული მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ამიტომ, იმ შემთხვევაში თუ ეჭვი გვეპარება, შეგვიძლია სტუდენტთან საუბარი ლექციების შემდეგაც.

Thank you for your attention! 😊
გმადლობთ ყურადღებისთვის

